# სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის
# ოქმი N2

ქ. თელავი — 04 ივნისი 2019 წ.

სხდომის დასაწყისი: 12:00 სთ — სხდომის დასასრული: 13:50 სთ

## სხდომას ესწრებოდნენ:

1 . შოთა ნარეკლიშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ქარჩაიძე - საქართველოს ბანკის რეგიონალური მენეჯერი - საბჭოს წევრი;
3. ნანა ათუაშვილი - ორგანიზაცია ,,World Vision" კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის მენეჯერი - საბჭოს წევრი;
4. ნინო პაატაშვილი - საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;
5. ნიკოლოზ შარვაშიძე - აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის რეგიონალური კოორდინატორი - საბჭოს წევრი;
6. ასმათ ღვინიაშვილი - ორგანიზაცია ,,World Vision"-ის სოციალური მუშაკი - საბჭოს წევრი;
7. სოფიკო ტაბატაძე - კოოპერატივი „თაფლიანის " ხელმძღვანელი- საბჭოს წევრი;
8. ნინო შამანაური - საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის" თელავის ოფისის სოციალური მუშაკი - საბჭოს წევრი;
9. ნინო ჭიჭიკოშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი.

სხდომას, ასევე ესრებოდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც.

სხდომის მდივანი: ქეთევან ასლანიშვილი

## დღის წესრიგი:

1. მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თანამონაწილეობის საკითხის განხილვა;
2. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდების საჭიროებების კვლევის შედეგების საბჭოსთვის წარგენა;
3. სხდომის შეჯამება და შემდგომ სხდომაზე განსახილველი საკითხებზე შეთანხმება.

მოისმინეს:

თელავის მუნიციპალიტეტის მერი შოთა ნარეკლიშვილი პირველ სხდომაზე წამოჭრილ ერთ-ერთ საკითხს კერძოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების ღონისძიების ჩატარებას გამოეხმაურა, რომლის მიზანი მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაა. საბჭო შეთანხმდა, რომ ორგანიზაციული დეტალების დაზუსტების მიზნით საბჭო უახლოეს მომავალში შეიკრიბება.

გარდა ამისა, საბჭოს ერთ-ერთამ წევრმა **ნანა ათუაშვილმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მუნიციპალიტეტმა ითანამშრომლოს მრჩეელთა საბჭოსთან და ამ ფორმატში მოხდეს პრიორიტეტებში გარკვეული ცვლილებების შეტანა. აღნიშნულთან დაკავშირებით შოთა ნარეკლიშვილმა გამოთქვა მზაობა და არა მხოლოდ მრჩეველთა საბჭოს, არამედ ზოგადად მოსახალეობის ჩართულობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

სხდომას ასევე, ესწრებოდა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოიაციის წარმომადგენელი ნონო ნაცვლიშილი, რომელმაც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მნიშვნელობასა და ეფექტურობაზე ისაუბრა და მზადყოფნა გამოთქვა მომავალში საბჭოს მუშაობის ტექნიკურ მხარდაჭერაში.

ასევე, საბჭოს ერთ-ერთმა წერმა, ორგანიზაცია ,,World Vision"-ის სოციალურმა მუშაკმა **ასმათ ღვინიაშვილმა** საბჭოს წარუდგინა კვლევა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ. კერძოდ, მათი შემდგომი რეაბილიტაციის, განათლების მიღების აუცილებლობის, დასაქმების შესახებ და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ მზადაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდებისთვის შეიქმნას გარკვეული სახის მუნიციპალური პროგრამა, რომელიც შემდგომში მათთვის სასურველი განათლების მიღებას დააფინანსებს. საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა **ნათია ქარჩაიძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან აღნიშნული კატეგორიის ახალგაზრდები მცირე რაოდენობით არიან, კარგი იქნება გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე კიდევ შეირჩეს სამიზნე ჯგუფი, რომელთა სწავლის დაფინასება მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ. მოსაზრება მერმა მოიწონა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს აღნიშულ პროგრამაზე და კრიტერიუმებზე ერთობლივი მუშაობა შესთავაზა, რომელიც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის სოციალურ ან/და ახალგაზრდულ ბიუჯეტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაზე მუშაობის დასაწყებად, მერის თხოვნით კვლევის წარმდგენი ორგანიზაცია ,,World Vision" შემდეგ სხდომაზე საბჭოს მოაწვდის სტატისტიკას მცირე საოჯახო ტიპის სახლებისა და მინდობით აღზრდაში წასული ახალგაზრდების რაოდენობის შესახებ.

გარდა ამისა, საბჭოს წევრებმა ისაუბრეს ქალაქის განაშენიანების გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით. ერთ-ერთმა წევრმა **ნიკოლოზ შარვაშიძემ** გამოთქვა სურვილი აღნიშნული გეგმის განხილვა საბჭოს ფორმატშიც მოხდეს, რაზეც შოთა ნარეკლიშვილმა მზადყოფნა გამოთქვა და საჭიროების შემთხვევაში პროექტის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელთან შეხვედრაც დააანონსა.

სხდომის ბოლოს საბჭოს წევრები მორიგ სხდომაზე განსახილველ საკითხებზე შეთანხმდნენ, კერძოდ იგი შეეხება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის განხილვას.

სხდომის თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის მერი — შოთა ნარეკლიშვილი

სხდომის მდივანი — ქ. ასლანიშვილი — ქეთევან ასლანიშვილი